



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:
არქეოლოგია და სიძველეთმცოდნეობა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
ჰუმანიტარული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი არქეოლოგიაში

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ომარ ლანჩავა

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: 4-57-82, 899223557;
E-mail: omarilanchava@gmail.com.

ქუთაისი
2008

1. პროგრამის მიზნები და ამოცანები

- კადრების მომზადება არქეოლოგიური კვლევისათვის: არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა, გათხრა, ფიქსაცია, არტეფაქტების კამერალური დამუშავება, რესტავრაცია, პუბლიკაციისათვის მომზადება, სამეცნიერო ნაშრომების შესაქმნელად შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.
- სწავლების შემდეგი საფეხურისათვის მომზადება. (დოქტურანტურა).
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამებში მონაწილეობა.
- კულტურული ტურიზმის სფეროში მოღვაწეობა.

პროგრამის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ბოლო დრომდე საქართველოში არქეოლოგიაში დასპეციალება ხდებოდა მხოლოდ ასპირანტურის საშუალებით, რაც ზღუდავდა სათანადო რაოდენობის კადრების მომზადებას. მაგისტრატურის პროგრამის განხორციელება შესაძლებლობას იძლევა საუნივერსიტეტო დონეზე განხორციელდეს კვალიფიციური, კვლევის თანამედროვე უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება, რომლებზედაც შესაბამისი მოთხოვნილებას განაპირობებს ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.

მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამა მოამზადებს სათანადო უნარ-ჩვევების მქონე არქეოლოგიური პროფილის სპეციალისტს, რომელსაც ეცოდინება საქართველოში არქეოლოგიური კვლევების ისტორია, შესწავლილი ექნება არქეოლოგიური ძეგლების ატლასი და რუკა, შეეძლება შესაბამისი მეთოდების გამოყენებით არქეოლოგიური ძეგლის გამოვლენა, შესწავლა, პუბლიკაცია და პოპულარიზაცია.

2. კურსდამთავრებულთა დასაქმება

საერთაშორისო და ადგილობრივი არქეოლოგიური ექსპედიციები, სამეცნიერო კვლევითი ცენტრები, მუზეუმები, ტურისტული ორგანიზაციები, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებები.

3. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	საგნების დასახელება	საგნის სტატუსი: საერთო, სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
				სემესტრები			
				I	II	III	IV
1	არქეოლოგიური კულტურები და ცივილიზაციები	საერთო სავალდებულო	5	5			
2	ევროპული ენები (ინგ. გერმ. ფრან. რუს.)	საერთო სავალდებულო	15	5	5	5	
3	მოდული-არქეოლოგ. კვლევის მეთოდოლოგია	საერთო სავალდებულო					
4	არქეოლოგიის კვლევის მეთოდები	საერთო სავალდებულო	5	5			
5	არქეოლოგიური წყაროები	საერთო სავალდებულო	5	5			
	მოდული: პრეისტორიული არქეოლოგია						
6	ქვის ხანის არქეოლოგია	სავალდებულო	5		5		
7	ადრელითონების ხანის არქეოლოგია	სავალდებულო	5		5		
	მოდული: ისტორიული ეპოქის არქეოლოგია						
8	წინაქრისტიანული ხანის არქეოლოგია	სავალდებულო	5			5	
9	ქრისტიანული ხანის არქეოლოგია	სავალდებულო	5			5	
	მოდული-კლასიკური ფილოლოგია		25				
10	ძველი ბერძნული ენა	სავალდებულო	4	2	2		
11	ლათინური ენა	სავალდებულო	4		2	2	
12	უძველესი ცივილიზაციები	სავალდებულო	3	3			
13	ანტიკური ლიტერატურის პოეტიკა	სავალდებულო	12		4	8	
14	მითოლოგია	სავალდებულო	2		2		
15	ბერძნულ-რომაული სამყარო და საქართველო არქეოლოგია და თანამედროვე მეცნიერებები	არჩევითი	5	5			
16	საქართველოს ისტორიის უცხოური წყარო წარმართული ხანის დაკრძალვის წესები	არჩევითი	5	5			
17	შუა საუკუნეების სამშენებლო ხელოვნება ქალაქები და საქალაქო ცხოვრება	არჩევითი	5	5			
18	არქეოლოგიური პრაქტიკა	სავალდებულო	5		5		
19	საკურსო ნაშრომი	სავალდებულო	5			5	
20	სამაგისტრო დისერტაცია	სავალდებულო	30				30
	სულ		120	30	30	30	30

4. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.